# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 1/99

ქ. თბილისი „29" „ ოქტომბერი " 2013 წ.

<u>საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტი</u>.

## გამარტივებული შესყიდვა

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები**

1.1. ერთი მხრივ, სსიპ „ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი", შემდგომში „შემსყიდველი", ფონდის უფროსის მოადგილის ვლადიმერ თუხარელის სახით და მეორე მხრივ შპს „თეგეტა მოტორსი" შემდგომში „მიმწოდებელი", მისი დირექტორის თემურ კოხოძე სახით, ვდებთ ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შემდეგზე:

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1 მიმწოდებელი მიაწვდის, ხოლო შემსყიდველი შეისყიდის:

| № | საქონლის დასახელება | რაოდ. | განზომ. | ერთეულის ფასი | სულ ფასი | cvp |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აკუმულატორი ვარტა ბლუ 60 ა/ს D-47 | 1 | ცალი | 180 | 180 | 31430000 |
| | სულ: | | | | **180** | |

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მონტაჟთან ერთად შეადგენს 180 ლარს.
3.2 საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრუელბის ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
3.3 <u>დაფინანსების წყარო: საკუთარი შემოსავლები</u>.

**4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

4.1. მიმწოდებელი მიწოდებულ საქონელზე იძლევა გარანტიას და იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტის ქარხნული დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში, რომელიც არ იქნება შემსყიდველის ბრალეულობით გამოწვეული, შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა/შეკეთება, ან ჩანაცვლება ანალოგიურით შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე. ამასთან შემსყიდველი იღებს ვალდებულებას შეამოწმოს საქონელის რაოდენობა და ხარისხი მიწოდების ადგილზე.
აკუმულატორების საგარანტიო პერიოდი შეადგენს 2 (ორი) წელს, დამატებითი საგარანტიო პირობების შესაბამისად, რომელიც გაიცემა მიმწოდებლის მიერ.

**5. მიწოდების წესი**

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს და დაუმონტაჟოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მისამართზე.
5.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე და ამ სფეროში არსებულ ნორმებთან შესაბამისობაზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ მიწოდებული საქონელი აღმოჩნდება უხარისხო/წუნდებული შემსყიდველი უფლებამოსილია წარუდგინოს მიმწოდებელს

დასაბუთებული რეკლამაცია, რის შემდეგაც მიმწოდებელი ვალდებულია 5 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს მითითებული საქონლის ახლით შეცვლა.

**6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. მიწოდებული საქონელი მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ. „მიმწოდებელი" წარუდგენს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით).

6.2. სსიპ „გუდაურის განვითარების ფონდი"-ს მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის დამოწმებაზე უფლებამოსილი პირია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დიმიტრი მუჯირი.

**7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)**

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო.

7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებიდან (შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან) 7 სამუშაო დღის განმავლობაში.

**8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

8.1 არავითარი ცვლილებები ან გადახრა ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 – ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანდ და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვა სუბიექტს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

8.3 ხელშეკრულების შესრულების პროცესში რაიმე ხელის შემშლელი გარემოებების წარმოშობისას მხარეებმა ურთიერთობა უნდა მოაგვარონ წერილობითი შეტყობინების გზით.

**9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას**

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 ფორს – მაჟორული გარემოებების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო დროულად მიუწოდებელი საქონლის 0.1 % – ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

9.4 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო.

მყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

- ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი.
- ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

9.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

- ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ამ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრუებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 მოცემული ხელშეკრულება ძალაშია გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 12.სხვა პირობები

12.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან.
12.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.
12.3 „შემსყიდველი" უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", 1 (ერთი) ეგზემპლარი „მიმწოდებელთან".

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი" | შპს „თეგეტა მოტორსი" |
| მის: ქ. თბილისი, კოსტავას 33ა | მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივ. მე-12 კმ. |
| ს.ს. „ლიბერთი ბანკი". | ს.ს. „თიბისი ბანკი. |
| კოდი: LBRTGE22 | კოდი: TBCBGE22. |
| ა/ა № GE63LB0121131932514000 | ა/ა № GE80TB0600000024467853 |
| ს/კოდი: 205 298 211 | ს/კოდი: 202 177 205 |
| სსიპ „ ტექნოლოგიური განვითარების ფონდი" - ს უფროსის მოადგილე: | შპს „თეგეტა მოტორსი" - ს დირექტორი: |
| ვლადიმერ თუხარელი | თემურ კოხოძე |
| ________________ | ________________ |